მე-6 კლასის საგამოცდო პროგრამა
ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენაში მე-6 კლასის ბოლოს ჩასატარებელი გამოცდის შინაარსი და სირთულის დონე ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშაავებულ ეროვნულ სასწავლი გეგმას, კერძოდ - საგნობრივ პროგრამას და პროგრამის შინაარსს უცხოურ ენებში.

საგამოცდო ტესტში წარმოდგენილი საკითხების სირთულის დონე, უმეტესწილად, შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ დაწყებითი საფეხურის III და IV დონეებს. ტესტში გათვალისწინებულია ასევე დაწყებითი საფეხურის II დონის საკითხებიც. ტესტის საერთო სირთულის დონე შეესაბამება ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ენის ფლობის A1/A2 დონეებს.

ტესტი შედგება სამი სახის დავალებისagან. ესენია:

1. დავალებები, რომლებიც ამოწმებს გრამატიკულ ცოდნას.
2. დავალებები, რომლებიც ამოწმებს ლექსიკურ ცოდნას და სამეტყველო ფუნქციებს.
3. დავალებები, რომლებიც ამოწმებს მცირე ზომის განსხვავებული შინაარსის და ფორმატის ტექსტის წაკითხვას და მასში მოცემული ინფორმაციის გააზრებას.

გრამატიკული საკითხების და ლექსიკის ცოდნის შემოწმება მოხდება კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

დავალებების ტიპი არის მრავალჯერადი არჩევანი; მოსწავლე კომპიუტერის ეკრანზე კითხულობს დავალებას და ოთხი შესაძლო პასუხიდან აღნიშნავს ერთს.
ტესტში შემავალი საკითხების რაოდენობა არის 70.

ტესტი ითვალისწინეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შემდეგ მისაღწევ მიზნებს:

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

- Nouns/Articles
- Adjectives. Degrees of comparison
- Adverbs
- Numerals: cardinal, ordinal
- Pronouns: personal, possessive, interrogative, indefinite, relative
- Verbs: regular/irregular; main/auxiliary ; Modal verb Can
- Tense forms in Active voice: Present Simple, Past Simple, Future Simple
  Present Continuous, Past Continuous
- Tense forms in Passive voice: Present Simple, Past Simple
- Prepositions; Conjunctions
- There is/There are